საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ისანი-სამგორის ადმინისტრაციულ რაიონში, მაისურაძის ქ. #11-ში. ნაკვეთის საკადასტრო ნომერია: 01.19.20.004.026. ნაკვეთის საერთო ფართობია 4438 კვ.მ.

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2008 წლის 25 იანვარს გაცემული #62 ქალაქთმმშენებლობითი პირობების შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთი დაიყო ორ– ჩრდილოეთ და სამხრეთ სექტორებად. ჩრდილოეთი სექტორი (1928,0 კვ.მ) წარმოადგენს საშუალო ინტენსიობის საზოგადოებრივ-საქმიან (შერეულ) ზონას - (შზ,) კოეფიციენტებით კ1=0,7 და კ2=3,0, ხოლო სამხრეთი სექტორი (2510,0 კვ.მ), სადაც საპროექტო ობიექტი იქნება განლაგებული, წარმოადგენს მაღალი ინტენსიობის საცხოვრებელ ზონას - (სზ4), კოეფიციენტებით კ1=0,5 და კ2=2,2.

საპროექტო ობიექტის (კორპუსი #4) აშენების მიზნით მომზადდა საპროექტო წინადადება ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე, რომელმაც დადებითი შეფასება მიიღო. შესაბამისად ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 07 ივლისის #1687 განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე და კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

– საშუალო ინტენსიობის საზოგადოებრივ-საქმიან (შერეულ) ზონაში (შზ) კ2=3,4,

– ხოლო საცხოვრებელ ზონა 4–ში (სზ–4) კ2=2,6.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L / K2X(K2'-K2)XS

სადაც:

L - 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი

K2' - მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი

K2 - მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი

S - მიწის ნაკვეთის ფართობი.

აქედან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი იქნება:

– საშუალო ინტენსიობის საზოგადოებრივ-საქმიან (შერეულ) ზონაში:

26ლარი / 3,0 X (3.4-3,0+0.6*) X 1928,0 მ² = -3342

– საცხოვრებელ ზონა 4–ში

26ლარი / 2,2 X (2,6-2,2+0.44*) X 2510,0 მ² = -1187

შესაბამისად მოსაკრებელის გადახდა არ გვეკუთვნის

* 20%–იანი შეღავათი

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 1687

"7" ივლისი 2014 წ.

ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 26 ივნისის სხდომის №24 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, მაისურაძის ქ. №11–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: **საცხოვრებელ ზონა 4–ში კ2=2,6. საცხოვრებელ ზონაში კ2=3,4.**

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE80LB0125152101628822.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე